ნიანგი

№ 6 მარტი. თბილისი. გამოცემის წელი XXXV ფასი 2 მან. 1957



მარე ამბავი მუდაფერ მანქანის

ამ ფირფიტაც ნიკიფოროვიჩი მხიარულ გუნებაზე ადგა, შილიფად ჩაცმულმა აწალ აივანზე ორიოდე ბოლთა დაჰკრა და ხელისგული მოიფხანა.

— ჰმ, კარგი ნიშანია! — თქვა მან.

— რა არის, სერიოჟა, ეგ კარგი ნიშანი? — შეეკითხა სახლობა სერგო ნიკიფოროვიჩს. (შინაურებში და მახლობლებში ასეთი სახელით იცნობენ „საქპურტრესტის“ მმართველის მოადგილეს ვლადიმერ ნიკიფორეს-ძე ნიჟარაძეს!). სერგომ, ე. ი. ვლადიმერმა, სახეზე ეშმაკური ღიმილი გადაიფინა და უფრო ეშმაკურად განუმარტა:

— ხელისგული მექავება, კარგი ნიშანია, მოგება იცის!

— შენ კი გაიხარე, ჩემო სერიოჟ, შნო არა გაქვს და მოგება არ იცი თუ?

— ვიცი და იმიტომაც მენიშნა! ხომ გაგიგონია — „ნადირი მონადირეს ეტანებაო!“

თქმა და წინაგრძნობის ახდენა ერთი იყო: იდილიური მუსაიფი ზარის ხმამ დაარღვია. კარი გაუღეს. დიასახლისისათვის უცნობი სტუმარი ჯიქურ შემოვიდა და პირდაპირ ვლადიმერისაკენ გაემართა სიტყვებით:

— დილა მშვიდობისა, სერგეი ნიკიფოროვიჩ, მე ლაგოდეხის რაიონიდან, სოფელ კალინოვკიდანა ვარ, ნიკოლოზ ჟაკობოვი!

— ა-ა! მითხრეს, დიახ, მითხრეს თქვენზე. გისმენთ.

როგორც მკითხველი ხედავს, მიღება გულითადი იყო და მუსაიფი უგულითადესი უნდა მოჰყოლოდა. მოჰყვა კიდეც.

— ამხანაგო სერგო, გავიგე, თქვენთვის ავტომანქანა „გაზ — 67“ მოუციათ პირადი სარგებლობისათვის!

— მომცეს კი არა, ვიყიდე. ფული, ალალი ფული ჩავუთვალე, ხე, ხე! — შეაწყვეტინა კალინოვკელ სტუმარს ნიჟარაძემ.

— ალალი იყოს, გერგებათ და შეგერგებათ კიდეც, და აი, მეც იმიტომ შეგაწუხეთ.

— ესე იგი?

— ეს მანქანა სოფელ ადგრეულას უფრო პრაქტიკული სახმარია, რა იქნებოდა, რომ ჩემთვის დაგეთმოთ!

— რა უნდა იყოს, ფულის საქმე არ არის?

— მეც იმას მოგახსენებთ, ფულის საქმეა და ფულზე მოვილაპარაკოთ.

მოლაპარაკება, დიახაც, საქმიანი იცის ნიჟარაძემ, გამოცდილება არ აკლია და ვაჭრობის შნო. დაწესებულებიდან ჩამოწერილი მანქანა ორი ათას შვიდას მანეთად იმიტომ ხომ არ „დაითრია“, რომ მას კაი გვარიანი თანხა არ გაგდებინოს? იცის, ნიჟარაძემ იცის ფული საიდან გამოწურო!

ივაჭრეს, „ისოვდაგრეს“ და ნიჟარაძემ 13.500 მანეთად „დაუთმო“ ჟაკობოვს, იმავე დღეს საზეიმო ვითარებაში გაუფორმა „კომისიის“ კურთხევით ნისიად ნაშოვარი „გაზ — 67“ მარკის „Г(І 01—65“ ნომერი მანქანა, მიითვალა მისგან ზემოხსენებული თანხა და უდავო საბუთები ჩაბარა ახალ პატრონს. დაჰკრეს ხელი და ერთმანეთს სხვაც მრავალი მოგება უსურვეს. ჟაკობოვი მიუჯდა საჭეს და ლაგოდეხის გზას გაუყენა.

მართლაც კარგად აუხდა ნიჟარაძეს ხელისგულის ქავილი. მართალია ფულის დათვლაში ცოტათი დაიღალა, რადგან ჟაკობოვმა „ნაფტალინიანი“ ასიგნაციები ჩამოუტანა, მაგრამ ჩალის ფასად ნაშოვარში ათი ათასი მანეთის მოგებაც ხომ საქმეა! მერე რა ვუყოთ, თუ, ვთქვათ, გაფორმების დროს ნიჟარაძემ ავტოინსპექცია დაარწმუნა, თითქოს მანქანა კი არ გაყიდა, არამედ № 56—07 „პობედაში“ გადაუცვალა მან ჟაკობოვს (რომელიც, როგორც ჩვენ გამოვარკვიეთ, ეკუთვნოდა სოფ. ძირულაში მცხოვრებ გურამ გერასიმეს-ძე ნიორაძეს). ღმერთმა აცოცხლოს, განა ამ პატივცემულ დაწესებულებაში კი არ შეიძლებოდა შეხვედროდა გულუბრყვილო და ზეპირად დამჯერი კაცი?

ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად მოეწყო იმ დღით ვლადიმერ ანუ სერგო ნიჟარაძისთვის. ან კი როდის იყო, რომ მას ცუდად მოუწყვია თავისი საქმე? და სახელმწიფო ორგანიზაციიდან წიწმატის ფასად გამოტანილმა მანქანამ ოქროს მოგებით დაამძიმა ნიჟარაძის ჯიბე.

მაგრამ დავუბრუნდეთ შეწყვეტილს:

რომ მოხდეს საკვირველება და ჩვენს მიერ ზემორე აღწერილმა ამბავმა ნიჟარაძის ყურამდე მიაღწიოს, ხომ შეხტება და შემოტრიალდება ვლადიმერ ნიკიფორეს-ძე ნიჟარაძე: რაღა მე მომნახეთ? განა ჩემს მეტმა არავინ გასწია სპეკულაცია სახელმწიფო ორგანიზაციებიდან ჩამოწერილ მანქანებზე, განა სხვამ არ მოიგო იოლად ათასები, განა სხვებმა არ იჯიბეს უდარდელი მოგებაო?

ალბათ არც შესცდება ნიჟარაძე თუ ამას იტყვის. მისი გულისწყრომა ალბათ უსაფუძვლო არ იქნება, თუ მაგალითისათვის იგი მიგვითითებს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტის საწარმოო წამოწყებათა კომბინატის დირექტორ გიორგი მანუჩარის-ძე ცომაიაზე, რომელმაც ამავე გზითა და მოხერხებით 1.350 მანეთად „ნაშოვარი“ ავტომანქანა ასევე ნაღდ 9.000 მანეთად მიჰყიდა დიდი ქაონის მცხოვრებს გიორგი ნატარიას ძე კოკაიას.

ამ გარიგების გაფორმებაც იოლად და უდავიდარაბოდ მოხდა. ერთი, რაც შეიძლება აღინიშნოს, ეს მხოლოდ ის დეტალია, რომ ცომაიას გულს უნდა აკლდეს, რატომ მანაც ვერ იშოვა ნიჟარაძესავით გულუხვი მუშტარი და უფრო მეტი მოგება ვერ „გააგდებინა“ მართლაც პირიანად შეძენილ „საკუთარ ნივთს?“

მაგრამ ეს, შედარებით, ნაკლები მნიშვნელობისაა; უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის გამორკვევა — გულნაკლული ხომ არავინ დარჩა იმათგან, ვინც საერთოდ ხელს ურევდა და მანქანების ჩალის ღირებულებად შეფასებით, რბილად რომ ითქვას, უადვილებდა ხელის მომთბობთ ამ დაუჯერებელ სპეკულაციას?

რაკი სიტყვამ მოიტანა, გვინდა ვისარგებლოთ და გაკვირვება გამოვთქვათ საოცარი დარდიმანდობის შესახებ, რაც გამოუჩენიათ ინდივიდუალურ ხმარებაში გადასაცემად განკუთვნილ მანქანების შესაფასებლად დაწესებულებებთან შექმნილ კომისიებს. უპირველეს ყოვლისა, გაკვირვებას იწვევს, თუ როგორ მოხდა, რომ მანქანები „დაეთმოთ“ უმთავრესად სავაჭრო ორგანიზაციების იმ მუშაკებს, რომელნიც ჩვეულებრივ ყველაზე ადრე იყნოსავენ ხოლმე „სარფიანი საქონლის“ სუნს და მისი ხელში მოგდებაც ადვილად ემარჯვებათ?

გაკვირვების მეორე საბაბს იმაში ვხედავთ, რომ ზოგიერთი მანქანა მართლაც „წიწმატის ფასად“ არის შეფასებული და ეს გარემოება ნიჟარაძე — ცომაიების მსგავს „სოვდაგრებს“ სპეკულაციის საშუალებას აძლევს. ასეთი გაკვირვების გამოწვევი საბუთი ხომ ჩვენ სხვაც ბევრი გვაქვს ხელთ და, როცა ეს საჭირო იქნება, შეგვიძლია ორიოდე სიტყვა კიდევ შევაწიოთ!

გ. დაბლაციხელი
ს. ზეზოკაელი

ნახ. ზ. ლეჟავასი

რაციონალიზაციორთა კრებაზე

— კიდევ ერთი რაციონალური წინადადება შემომაქვს.
— თქვით!
— გაათავისუფლეთ ჩვენი უქნარა დირექტორი!



— მამა, სკოლაში გიბარებენ; პაპიროსს ვეწეოდი და...

— მერე, ცოტა მოგეთმინა, მოხვიდოდი და შინ მოსწევდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის პოლიკლინიკა

ნიანგმა გადაწყვიტა გახსნას საკუთარი პოლიკლინიკა, სადაც უფასო სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ ზოგიერთი სახეობის ავადმყოფებს. პოლიკლინიკას ექნება შემდეგი განყოფილებები:

ბიუროკრატორია: ავადმყოფების მიღება იწარმოებს ღამის 1 საათიდან—დილის 5 საათამდე. განყოფილებას ექნება მოუწყობელი მოსაცდელი ოთახი, სადაც პაციენტებს საშუალება ექნებათ თავის რიგს მთელი თვეობით ელოდონ. კედელზე მიყრდნობა და იატაკზე ძილი ნებადართულია. გაწყვეტილი მოთმინების ძაფის გადასაბმელად რეკომენდებულია მეზღვაურული კვანძი.

მფლანგველოთერაპიული: ეს განყოფილება მოთავსებული იქნება სასამართლოს დარბაზში. ავადმყოფებს შეუძლიათ მოსვლისათვის თავი არ შეიწუხონ—მათი აღრიცხვისა და პროფილაქტიკისათვის სათანადო ორგანოები იზრუნებენ.

ლოთორატორია: უზომოდ მთვრალებს შეეძლებათ შეიარონ დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში. განყოფილებას ექნება ცივი შხაპი (მუდმივად), ბორჯომის წყალი (ზოგჯერ) და მაგნიტოფონი, რომლითაც გამოფხიზლებულს მოასმენინებენ სიმთვრალეში მის მიერ წარმოთქმულ მონოლოგებს. ზოგიერთი ანატომიური რეაქციის გამოსაწვევად პაციენტებმა თან უნდა იქონიონ ცოლების ფოტოსურათები ზომით 18×24. უფრო მცირე ზომის ფოტოები დაუშვებელია, რადგან მოსალოდნელია გამოსახულების გაორება, ან გაოთხება (სიმთვრალის ხარისხის მიხედვით), რამაც შეიძლება ავადმყოფის ნერვული ტრავმა გამოიწვიოს.

ქურდოლოგიური: ამ განყოფილების სექციები მოთავსებულია მილიციის ყველა განყოფილებაში. ავადმყოფების მკურნალობის ვადა 1-დან 25 წლამდეა. თუ სენმა მეორედ შეუქცია, უნიშნავენ დამატებით კურსებს.

ხულიგანოთერაპიული: ავადმყოფების მოყვანის უფლება აქვს ყველა ნილიციელსა და მოქალაქეს. მკურნალობის ვადა, თუ დაავადება ავთვისებიანი არ აღმოჩნდა, 3-დან 15 დღემდეა. კარგ შედეგებს იძლევა პრეპარატები: „თმის გადაპარსვა“ და „ნიანგის მათრახში“ ფოტოს მოთავსება. აღნიშნული წამლები უხვად მოიპოვება ნიანგის აფთიაქში (ნიანგის ქუჩა № 964 „ა“).

სპეკულანტოლოგიური: 16 წლისაზე უმცროსი პაციენტების მკურნალობა უმშობლებოდ არ იწარმოებს. ავადმყოფთა შეგროვების მუდმივი ადგილებია: კინოთეატრების შესასვლელები, მარჯანიშვილის ქუჩა (თბილნალფოთილვანილვაჭრობა), ბაზრები, საკომისიო მაღაზიების შესასვლელები და ფუფუნების მოყვარული ზოგიერთი ოჯახები. სეზონურ ადგილებს მიეკუთვნება: სტადიონის წინ მდებარე ქუჩები, ავეჯეულობის მაღაზიების წინ გამართული რიგები (როდესაც „მარელისის“ სკამებს ყიდიან), ნაყინის დამტარებელნი და სხვ.

ნოქაროთერაპიული: პაციენტები გაივლიან ორწლიან „ზუსტი გაზომვის“ კურსებს და პარალელურად მოისმენენ ზრდილობის ასამაღლებელ ლექციებს.

გულშემატკივართა ოცნებოთერაპიული: ეს განყოფილება გაძლიერებით იმუშავებს ფეხბურთის მატჩების დღეებში. უზრუნველყოფილი იქნება ცივი შხაპითა და საყინულე განყოფილებით, ეყოლება საკუთარი ქირურგი, რომელიც აფექტში ჩავარდნილ გულშემატკივრებს სასწრაფო დახმარებას აღმოუჩენს (ვენიდან სისხლის გამოშვება). განყოფილებას ექნება დიდი დარბაზი სპორტულ-იმიტაციური ფილმების სადემონსტრაციოდ. აქ პაციენტებს საშუალება ექნებათ გული დაიმშვიდონ: ეკრანზე ისინი ნახავენ, თუ როგორ იმარჯვებენ ჩვენი „დინამოს“ ფეხბურთელები ყველა მატჩებში და იკავებენ მსოფლიო ჩემპიონის ადგილს.

შენიშვნა: ეპვიანი და ისტერიკებიანი გულშემატკივრების მკურნალობა იწარმოებს ხელოვნური ძილით: საყინულეში წინასწარი გაყინვის შემდეგ, ექიმი ჰიპნოზის საშუალებით მათ შთააგონებს, რომ თბილისის „დინამომ“ თასი მოიპოვა.

ამასთან დაკავშირებით, პოლიკლინიკის დირექცია გამოაცხადებს კონკურსს სათანადო ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად.

მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ პოლიკლინიკის კადრების განყოფილებას.

როზინზონ კახიძე

ზედმეტი მოუვიდა

ნახ. ჯ. ფირცხალავასი

„მედიცინაში წარმატებით აღინიშნა ცდები ნოვოკაინის საგანგებო ხსნარის მეშვეობით სიბერის წინააღმდეგ ბრძოლისა".

გაზეთებიდან

— ბედნიერი ხარ, ბიცოლა ეპრაქსი, შვილიშვილი შეგძენია!

— ეჰ, შვილო, შვილიშვილი კი არა, ჩემი ქმარია: ნოვოკაინი მიიღო ზედმეტი დოზა და...

ჯიუტი ფაქტი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ამ გაუვალი გზების შესახებ დიდი ხანია გავაგზავნე წერილი ჩვენს რაიონულ გაზეთში.

— მერე, დაგიბეჭდეს?

— არა, მიპასუხეს: ჩვენი გზები ასე გაფუჭებული რომ იყოს, შენს წერილს როგორღა მოგვიტანდა ფოსტალიონიო!

მანკი

ახალი დანიშვნა ტრესტის მმართველის თანამდებობაზ ვიქტორისათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სანამ სა მუშაო კაბინეტში ფეხი არ შედგა როგორც უფროსმა დ ვეებერთელა მაგიდის წინ მდგარ რბილ სავარძელში არ მო კალათდა, ყველაფერი სიზმარი ეგონა. თუმცა ამ შინაგა მღელვარებას არავის აგრძნობინებდა და უკვე მეორე დღე თავი არხეინად ეჭირა.

ნაცნობ-ნათესავებს, ამხანაგებსა თუ მეგობრებს ვიქტორი დაწინაურების ამბავი ელვის სისწრაფით მოედო. შინ თ სამსახურში წკარუნობდა ტელეფონის ზარი და მოისმოდ სიამით აღსავსე მოლოცვები. ვიქტორმა იფიქრა: „ხალხ უხარია, მირეკავენ, მილოცავენ, ხარობენ ჩემთან ერთად, მ კი ცარიელი მადლობით ვუმასპინძლდები ყველასო". ცოლ მოელაპარაკა და გადაწყვიტეს ზეიმით აღენიშნათ საერთო სიხარული.

თავის მხრივ ნაცნობებმაც და მეგობრებმაც იფიქრეს: „კაცი დაიხარჯა, პატივი გვცა, მისი დაწინაურება პურ-მარილით თუ არ აღვნიშნეთ, უხერხულიაო". და დაიწყო ვიქტორისათვის მხიარული ღამეების განუწყვეტელი ნაკადი. ერთ წესს კი მტკიცედ იცავდა მმართველი: სანამ კარგა რიგიანად არ გამოიძინებდა, არავითარ შემთხვევაში არ გამოჩნდებოდა ტრესტში, ჩახრინწულ ხმას და წამოსივებულ ქუთუთოებს კი... გულის მანკს აბრალებდა.

მოხდა ისე, რომ, ერთხელ, ტრესტში მისვლა ვიქტორს პირდაპირ წვეულებიდან მოუხდა. დილის 10 საათისათვის, გადაუდებელი მიზეზის გამო, უბნის უფროსებთან თათბირი ჰქონდა დანიშნული და, რაღა თქმა უნდა, გამოსაძინებელი დრო აღარ იყო.

ვიქტორმა მდივან ქალს ჩქარი ნაბიჯით ჩაუარა და კაბინეტში ჩაიკეტა. ჯერ ბორჯომის წყალს დაეწაფა, მერე ცივი წყალი შეისხა სახეზე. ფანჯარასთან დადგა, ეგონა, დილის სიო გაუფანტავდა ძილს, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა...

ვიქტორმა საათს დახედა. მის განკარგულებაში იყო კიდევ 20 წუთი. იფიქრა: პატარა ხნით თვალს მოვატყუებ, ესეც შეღავათი იქნებაო. მდივანი ქალი ტელეფონით გააფრთხილა: ფრიად სერიოზული საქმით ვარ დაკავებული და ამ ცოტა ხანს ნურავინ შემაწუხებსო. გემრიელად მოკალათდა სავარძელში და...

უბნის უფროსებს თავის დღეში რომ არ გამოუჩენიათ პუნქტუალობა, ამ დღეს მოლაპარაკებულებივით დაუგვიანებლად გამოცხადდნენ. თათბირის დაწყებამდე ჩვეულებრივი ხასიათის საუბარი გაიმართა კოლეგებს შორის. ბოლოს, როცა ამოეწურათ სალაპარაკო თემა, მოსაცდელ ოთახში შეგროვილები მიჩუმდნენ და მმართველის გამოჩენას დაუწყეს ლოდინი.

მმართველი არ ჩანდა... ამან, ცოტა არ იყოს, შეკრებილთა შორის მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

— ქალბატონო ცუცა! — მიმართა მდივან ქალს ერთ-ერთმა უბნის უფროსმა. — ბოდიში... მმართველი დიდი ხნით დაიგვიანებს?

ცუცა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში „გრაფ მონტე-კრისტოს" კითხვით იყო გართული, ნერვიულად შეიშმუშნა.

— მმართველი აქ გახლავთ, თავის კაბინეტშია.

— მაშ რატომ არ იწყება თათბირი? — გაუკვირდა ყველას.

— არის მიზეზი... პატივცემული ვიქტორი ფრიად სერიოზული საქმით არის დაკავებული და როცა განთავისუფლდება, თათბირიც მაშინ დაიწყება. — მკაცრად განუცხადა ცუცამ და განაგრძო წიგნის კითხვა.

— ქალბატონო ცუცა! — არ ეშვებოდა მდივანს აღშფოთებული უბნის უფროსი. — ჩემი თხოვნაა, შეატყობინოთ მმართველს ჩვენს შესახებ. აგერ მეორე საათია ველოდებით.

— კმარა ლოდინი! — მოისმა აქეთ-იქიდან.

ცუცა მიხვდა, რომ ამ მოთმინებადაკარგული ადამიანების დამშვიდება ცარიელი დაპირებებით შეუძლებელი იყო, წიგნი გვერდზე გადასდო, მოშვილდული წარბები მედიდურად აჰყარა მაღალ შუბლზე და მმართველის კაბინეტის კარებზე ფრთხილად დააკაკუნა.

კაბინეტიდან არავინ გასცა პასუხი.

ცუცამ გააძლიერა კაკუნი. ამაზედაც რომ აღარ მიიღო პასუხი, ახლა თვითონაც გაბრაზდა და დამუშტული ხელი ღონივრად შემოჰკრა კარებს.

მმართველი განაგრძობდა დუმილს...

— ამხანაგებო! — უეცრად ნერვიულად აუთამაშდა ქვედა ტუჩი გაფითრებულ ცუცას. — ამხანაგებო!.. პატივცემული ვიქტორის თავს რაღაცა ამბავია...

— რა უნდა მოსვლოდა?! — გაუკვირდათ იქ მყოფთ. — ჯანღონით აღსავსე კაცია.

— ამხანაგებო!.. — ხმას აუწია ცუცამ და თვალები აუცრემლიანდა, — განა ავადმყოფობა ასაკს არჩევს? გულის მანკი აქვს ჩვენს მმართველს, ვგონებ კუჭის წყლულიც. სამსახურში სულ ბორჯომის წყალსა სვამს... აშკარა უბედურებაა ჩვენს თავს. კარები, კარები გავაღოთ როგორმე, სასწრაფო დახმარებას გამოვუძახოთ...

მომლოდინენი ერთბაშად მოლბენ. ტალღასავით მიაწყდნენ მმართველის კაბინეტის კარებს. ზოგი მას თავისკენ ეწეოდა, ზოგი შიგნით აწვებოდა. მოისინჯა ყოველგვარი გასაღებები, რომლებიც კი ხელთ გააჩნდათ იქ მყოფთ. მოსაცდელ ოთახში ხალხის ტევა აღარ იყო. გულაჩუყებული ქალები ხმამაღლა მოსთქვამდნენ. მამაკაცები გამალებით ეწეოდნენ პაპიროსს. ტრესტის შენობის ახლომახლო ქუჩები ცნობისმოყვარე გამვლელებით გაივსო. უბედური შემთხვევის ადგილზე „სასწრაფო დახმარება" გამოცხადდა... საკეტის ბუდეში კი ოთახის შიგნიდან ჩარჩენილი გასაღების გადაბრუნება ვერაფრით ვერ მოხერხდა.

— ამხანაგებო! რას ელოლიავებით მაგ საკეტს, ამოამტვრიეთ და გაგვიღეთ კარები. იქ ადამიანია განსაცდელში! — ბრძანების კილოთი განაცხადა სასწრაფო დახმარების ექიმმა.

საკეტი მართლაც ვერ გადაურჩებოდა ამომტვრევას, ამ დროს რომ არ მომხდარიყო ის, რასაც არავინ მოელოდა. კაბინეტის კარები ერთბაშად გაიღო და ოთახის ზღურბლზე გამოჩნდა ძილისაგან გაბრუებული... მმართველი. კეფაზე საგანგებოდ ჩამოზრდილი თმა, რომელიც უდროოდ გამელოტებულ თავს უფარავდა, მხრებამდე ჰქონდა ჩამოშლილი. დაჭმუჭნილი ტანისამოსი ულაზათოდ ასჩანდა და ძვირფასი ჰალსტუხი, რომელიც ბურბუშელასავით დაგრეხილიყო, მხარზე მოქცეოდა.

— რა ამბავია, რა ხმაურია?! — აყვირდა ვიქტორი.

კარებთან მოზვავებული ხალხის ტალღა გაირინდა და მხოლოდ ცუცა აკივლდა:

— ცოცხალი ხართ, ვიქტორ ბატონო?! ჩემი სიკვდილი, ჩვენ კი გვეგონა რაღაცა შეგემთხვათ. თქვენ ხომ გულის მანკი გაქვთ! „სასწრაფო დახმარებასაც" გამოვუძახეთ... კინაღამ კარები შემოგიმტვრიეთ... დედა, რა საოცარი ავადმყოფობა ყოფილა ეს მანკი!..

ვიქტორს თვალები გაუფართოვდა, შეკრებილთ გადახედა და ერთბაშად მიწის ფერი დაედო.

— მართლა უცნაური ავადმყოფობაა ეს... მანკი. — უხერხულად ჩაიბურდღუნა მან და თავჩაღუნული შებრუნდა კაბინეტში.

ნანა კანდელაკი

ნახ. დ. ერისთავისა

— ბიძიკო, ეს ხომ მარჯანიშვილის ქუჩა იყო, სად გადაიტანეს, თუ იცი?

— არა, ძია, ეს წარმოდგენის რეკლამაა!

ძილის წამალი

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ავადმყოფზე არ მოქმედობს დასაძინებელი წამალი; ჩართეთ რადიო, ეგებ ისეთი რამე გადმოსცენ, რომ...

გ. ფირცხალავასი

რეჟისორი: თქვენ ახლა მკვდარი ხართ; რაც შეიძლება მეტი სიცოცხლე შეიტანეთ თამაშში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგის ლექსიკონი

(კინოფილმების სახელების მიხედვით)

1. **„ჰიქა ლუდი“** — ლუდის გამყიდველისაგან გავსებული — ორი ჰიქა რომ გააერთიანო.

2. **„მისამართი უცნობია“** — თბილისელთა მიერ კარში დარტყმულ ბურთზე იტყოდნენ.

3. **„გაცრუებული ოცნებები“** — ცირკის კიბეებს რომ აივლი და სალაროში ბილეთი აღარ იყოს.

4. **„ყველაზე ლამაზი“** — ჩელუსკინელთა ქუჩაზე ცირკის გადაღმა ტერასაზე ნაგვის გროვები და ზედ ქათმები.

5. **„ორი გროშის იმედი“** — როდესაც ნაყინის გამყიდველისაგან ხურდას ელოდები.

6. **„300 წლის წინათ“** — საძირკველი ჩაეყარაო დ. გურამიშვილის ძეგლს, — ასე იტყვიან თბილისის მოქალაქენი 2255 წელს და თეთრ საბურველს მოაცლიან წამებული პოეტის ქანდაკებას.

7. **„უგზო-უკვლოდ დაკარგული“** — საბინაო სამმართველოში შეტანილ თხოვნაზე იტყვიან.

8. **„ბაღჩისარაის შადრევანი“** — წყალსადენის გამსკდარი მილი ბაღშიც შეიძლება.

9. **„გადარეული დღე“** — როდესაც ამინდის ბიუროს ცნობას არ დაუჯერებს თვითონ ამინდი.

10. **„თაფლის თვე“** — ჩვეულებრივ თვეზე ნაკლებ დღეებს შეიცავს. საზოგადოდ გრძელდება ერთი-ორი კვირის განმავლობაში.

11. **„შევხვდებით სტადიონზე“** — 31 მარტს.

12. **„გმირობა“** — მარჯანიშვილის თეატრთან ახვიდე ტროლეიბუსში და რუსთაველის ხოედანზე ჩამოხვიდე წინა კარებიდან.

13. **„ერთგულების გამოცდა“** — რაღაც ორიათასმანეთიანი საჩუქარი უყიდო დირექტორის ცოლს დაბადების დღეზე მისართმევად.

14. **„უნივერმაღის ვიტრინის იქით“** — რაც კარგია და იაფი და დახლებზე არ აწყვია. (იხილე სპეკულანტი).

15. **„ერთი ღამის შეცდომები“** — რეცენზიაზე იტყვიან.

16. **„ძნელი გზა“** — საბურთალოს ახალი ბაზრისაკენ მიდის.

17. **„საყვარელი არიები“** — ფეხბურთის მატჩი თამაშის წინ (თამაშის შემდეგ ხშირად უსიამოვნო განწყობას ქმნის).

შეადგინა რაფიელ მამულაშვილმა

ეპიგრამები

პლაგიატორი

არ მოსწონს, როცა შეედავები, —
უკვდავთა კვალზე დამდგარა ჩია:
ოჰ, იმას უყვარს სხვისი თავები,
რადგან თავისი არ გააჩნია.

ასე ზრუნავენ წიგნებისათვის

პოეტი წიგნზე წერის დროს ზრუნავს,
მერე კი წიგნი გზას თვითონ იგნებს;
მჯღაბნელი ზრუნავს გამოსვლის შემდეგ:
დარბის, ყიდულობს, ასაღებს წიგნებს.

ნივთიერებათა შედგენილობა

დავწურე შენი ლექსების წიგნი,
ასი პროცენტი გამოდგა წყალი.
თუ ეს წყალია, რად არის წიგნი,
და თუ წიგნია, რად არის წყალი?

ქართული ოპერის აფიშასთან

თქვენს ხმასა და ნათელ სახეს
ნუ დაფარავს, დაე, მტვერი!
მაგრამ შვილებს არ გვაღირსებთ
«აბესალომ და ეთერი»?

ქებული ქმარი და ვნებული პოეტი

ამ ქალს მეუღლე შეხვდა ქებული,
სიტყვები იმის ქნარზე ხმებიან;
აქვს უცვეთელი ლექსთა კრებული,
მკითხველის ხელი არ შეხებია.

აკაკი გელოვანი



უტექსტო ხუმრობა მ. აბაშიძისა



თემა ი. ჭილავისა

ნახ. ჭილაყაძ

ხატ. დ. ერისთავისა

— გაიგე, ჯუმბერი წვრილმანი ხულიგნობისათვის დააპატიმრეს!

— გამოსწორებულა, ამას წინათ მსხვილ ხულიგნობაზე იჯდა.

ყურმოკრული დიალოგები

— წამოდი, შენი მეგობრებიანად „გემოში“ ჩავიდეთ და ერთი გემოზე ვიქეიფოთ.

— ბიჭოს, შენ ჯიბე ძალიან გაგსქელებია!

— გუშინ ავიღე ჰონორარი ლექციების ციკლისათვის — „ალკოჰოლი ჯანმრთელობის მტერია“.

* * *

— შენს ახალ წიგნზე ერთ კარგ რეცენზიას დავბეჭდავ ჟურნალში, ოღონდ სამაგიეროდ...

— სამაგიეროდ რა?

— მალე ჩემი რეცენზიების კრებულიც ცალკე წიგნად გამოიცემა და რეცენზია უნდა დამიწეროო.

* * *

— „მარკ ტვენი. თხზულებანი. ტომი პირველი. თარგმნილი ნელი ეძგვერაძის მიერ...“ ვინ არის ნელი ეძგვერაძე, რა კავშირი აქვს ლიტერატურასთან?

— გამომცემლობის დირექტორის ცოლისძმის საცოლეა!

* * *

— ამბობენ, თუ სადისერტაციო ნაშრომი არ გამოაქვეყნე, ისე ხარისხს ვერ მოიპოვებო. . რაღა გეშველება, კლიმენტი?

— ადვილი საქმეა, წიგნად გამოვცემ... მხოლოდ სათაური — „შიო მღვიმელის სწავლება მეოთხე კლასში, პირველ მეოთხედში“, — ასე უნდა გადავაკეთო - „შიო მღვიმელი და ქართული საბავშვო ლიტერატურის პერიოდიზაციის კარდინალური საკითხები“.

ჩაიწერა რ. იამანიძეს

ჩიტილი რუსთაველისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის ძეგლი თბილისში მტვრითაა დაფარული და ღამით ნახევრად-ჩაბნელებულია.

აწ სიტყვასა ერთსა გკადრებთ, რუსთველურსა, ბრძნული ენით,
რუსთაველის მოედანზე ძეგლი ჩემი აღმართენით,
მით მადლობას მოგახსენებთ, არ ფლიდურად, აღმაფრენით,
გარნა რა ვქმენ საამისო, ბნელს ვზი ეზომ ცრემლთა დენით!..

თუცა ბნელი განმინათლდა, დაშრტა ცეცხლი, რომე მწვიდეს,
თუ დღე არის, მზე სხივებსა არ მომაკლებს, გარემცვიდეს,
მაგრამ ღამე როს დადგება, ბნელი მომხვდეს, გულსა
მკვლიდეს,
მითხრეს, „თელასს“ დააბრალე, მართ პატიჟნი რაცა
გჭირდეს.

თუცა რას მარგებს სინათლე, გული სხვაც ჯავრის მთქმელია,
მტვერში ვზი, მტვერი მეყრება, მტვერი გარშემო მცველია,
ალბათ ბნელაშიც მისთვის ვარ, შეხედვა ჩემი გრცხვენიათ,
მაგრამ მზეს სად გაექცევა ამა საქმეთა მქნელია!

მოისმინა და ჩაიწერა ბ. ჯამბაკურმა

აბა, გამოიცანით!

ტიტიკომ დედიკოს ფული გამოართვა. ამოცანა გვეკითხება, რამდენი მისცა დედიკომ მოწაფე შვილს, თუ 2 საათის შემდეგ, ტიტიკო მილიციის განყოფილებაში უგონოდ მთვრალი მიიყვანეს?

* * *

მოსკოვიდან გადმოცემულმ დეპეშა ფოსტამ მიიღო დღის 2 საათზე, დამტარებელმა ადრესატს ჩაბარა მეორე ღამის 10 ს. და 30 წ.

გამოსაცნობია, რა მანძილს გადიოდა დამტარებელი საათში, თუ ადრესატი ფოსტიდან 150 მეტრის დაშორებით ცხოვრობს?

* * *

კგ პური ღირს 1 მანეთი და 90 კაპიკი, მაგრამ, როგორც აუცილებელ პროდუქტში, ზოგი გამყიდველი მყიდველს 2 მანეთს ახდევინებს „ხურდის უქონლობის გამო“.

ამოცანა გვეკითხება, რა სისქე ექნება გამყიდველის ჯიბეს, თუ 1 საათის განმავლობაში 100 კგ პური იყიდება?

შეადგინა შოთა
მარმარაშვილმა



ხუთი წელია საათის ეს ანძა საბჭოს ქუჩაზე უსაათოდ დგას. რომელიღაც ხუმარას ზედ საბურავის ნაჭერი დაუდვია, ალბათ, უფიქრია, — რა ვუყოთ, რომ ეს „საათი“ დროს არ გვიჩვენებს. სამაგიეროდ, ხომ კარგად უჩვენებს ქალაქის საბჭოს — დრო მოვიდა აქ საათი დადგათო.

გორის საქალაქო საბჭოს მესვეურებმა ერთი ისე ვერ მოიცალეს, ამ ადგილას გაჩერდნენ, გაჩერების ნიშანს ახედონ და თქვან — ამ ნაგავს აქ რად ვაჩერებთო!

რედაქტორი — ელგუჯა მალრაძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42 ტელ. 3-10-49 3-76-69

გამომც. № 6, ხელმოწ. დასაბ. 20/III-1957 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკვ. № 357. უე 00999. ტირ. 30.000.

37-159
ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკელი კოლონიზატორები ავიწროებენ არაბეთის ქვეყნებში დამკვიდრებულ ინგლისელ და ფრანგ კოლონიზატორებს იმ მიზნით, რომ მათი განდევნით თვითონ გაბატონდნენ აფრიკაში.

გაზეთებიდან

ვირს და სპილოს აფრიკაში
აქვთ ტლინკებით ომი,
რომ განდევნონ სხვის სახლიდან
მამალი და ლომი,
პატრონებს კი არ ჰკითხავენ,
რომ მათ გადასწყვიტონ:
სამივ კოლონიზატორი
სურთ იფრინონ თვითონ.

ნახ. გ. ლომიძისა